ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 17 1883—1905 15 სეკტემბერი

## ექიმი იოანნე გომართლის სტატიის გამო— „რა გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება?“

> უბედურობაა როდესაც მზარეული ხარაზობას დაიწყებს და ხარაზი მზარეულობას.

ბევრი სტატიები წაგვიკითხავს საერო წოდების ჟურნალ-გაზეთებში სამღვდელოების შესახებ ცრუ, უსაფუძვლო და უაჯაო აზრებით სავსე, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია, ვინაიდგან ამისთანა სტატიების ავტორები ლობე-ყორეს ეფარებიან და თავის ვინაობას არ აცხადებენ. მკითხველი საზოგადოებაც ბევრი უყურადღებოდ სტოვებს ამისთანა სტატიებს. ჩვენც სწორეთ არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდით ექიმი იოანნე გომართლის ზემო ხსენებულ სტატიას, რომელიც მან „ივერი“-ის მე-130 ნომერში მოათავსა. მაგრამ ექიმს იოანნე გომართელს ჩვენში გლეხობა ისე ადიდებს და თაყვანს სცემს როგორც იოანნე კრონშტატელს. იოანნე გომართელსაც ისეთ სასწაულებრივ ექიმობას მიაწერენ სხვადასხვა მძიმე და მოურჩენელ სნეულებისას როგორც იოანნე კრონშტატელს. რამდენს შეხვდებით ჩვენში, რომელნიც მოგიყვებიან: ბატონო, ექიმი იოანე გომართელი ანკესზე პატარა დარგვალებულ პურს ამოაგებს, გადააყლაპებს თურმე ავადმყოფს, რომელსაც კუჭში ან წელებში კიბო აქვს. ანკესის ძაფი ხელში უკავია და უცბათ ცოცხალ კიბოს ერთი თვალის დახამხამებაზე ამოიღებს და აგდებს ტაშტში! ვისაც თავის ტკივილი აქვს თავის ქალას გაუხსნის და ბაყაყს ამოაცლის და ავათმყოფი რჩება... ასე სასწაულებრივ არჩენს „კიბოს“ და თავის ტკივილს, რომელიც სხვა ექიმებმა ვერ შესძლეს. ერთი სიტყვით იოანნე გომართელი ჩვენში ისეთ სასწაულთმოქმედათ მიაჩნიათ როგორც იოანნე

ეროვნული

კრონშტატელი.

ერთხელ ერთი კაცი მოვიდა ჩემთან და იოანე კრონშტატელის ადრესს მთხოვდა. მან გამიცხადა, ხუთი მანეთი მინდა გაუგზავნო იქნება ფეხი მომირჩინოსო. ამ კაცს ცალი ფეხი მუხლში ქონდა მოჭრილი. მე უთხარი ამ კაცს, რომ იოანნე კრონშტატელი მაგისთანა კაცებს არ არჩენს მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. ბევრი ველაპარაკე ზოგიერთებს, რომ იოანე გომართელს კიბოს მორჩენა ანკესით არ შეუძლია მეთქი, მაგრამ არ დაიჯერა, მთელი ქვეყანა ამას ამტკიცებსო...

იოანნე კრონშტატელმა გამოაცხადა სახალხოდ, რომ მე სასწაულების ჩადენა არ შემიძლიაო და თუ მისი ლოცვით რჩებიან, მათი სარწმუნოებით რჩებიანო. მაგრამ იოანე გომართელი ჯერეთ არ აპირობს იმის უარ-ყოფას რასაც მას ამაოდ მორწმუნე ხალხი მიაწერს...

რასაკვირველია, ამისთანა სასწაულთ-მოქმედის ექიმის სტატიას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში და ამისათვის იძულებული ვართ მის სტატიის გამო «რა გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება» ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ და დაუმტკიცოთ გომართელის თაყვანისმცემლებს ამ სტატიის უსაფუძვლობა და არარაობა. რომ ერთი და იგივე სიტყვები არ შეგვხდეს გასამეორებლად და რომ მკითხველს აშკარად დავანახოთ გომართელის სტატიის ცრუობა, უსაფუძვლობა და უაზრობა მოვიყვანთ პირველად მის სიტყვებს და იქვე გავცემთ პასუხს.

«გამდიდრებული და გალაღებული ბატონები, ასე იწყებს სასწაულთ მომქმედი ბატონი იოანნე გომართელი თავის შესანიშნავ სტატიას, „ფუფუნებაში, ქეიფსა და სრულს განცხრომაში ატარებენ თავის სიცოცხლეს; ოღონდ კი რამე მონატრებოდა მათს გულსა და, მილიონებიც რომ დახარჯულიყო ამისათვის, მათს შეძლებას ამით არაფერი დააკლდებოდა. ხალხი კი, დამონავებული, დაბეჩავებული, ხალხი მძიმე ტვირთ-ქვეშ კვნესოდა, კვნესაში ატარებდა თავის სიცოცხლეს, რომელიც თავიდან ბოლომდე მხოლოდ მონობის, ტანჯვისა და სიღატაკის ჯაჭვს წარმოადგენდა.“

«ამ დროს გაისმა დიდებულ მქადაგებლის დიდებული სიტყვები: მოდით ჩემთან, ყველა ტანჯულნო და დაჩაგრულნო, და მე მოგიფონებთო. ეს ხმა, ეს ქადაგება ჩვეულებრივი არ იყო. ტანჯულ ხალხს არასოდეს არ ენახა ამგვარი მქადაგებელი, არაოდეს არ გაეგონა ასეთი ხმა, არასოდეს არ მოესმინა ამგვარი სიტყვები: ტანჯულებო და ჩაგრულნო, ჩემს გარშემო შემოიკრიბენითო, და ტანჯულებმაც იწყეს გრიალი მქადაგებლისაკენ; მსმენელთა რიცხვი დღითი დღე მრავლდებოდა. ის ქადაგებდა, რომ ქვეყანა ჯოჯოხეთი იყო, ცხოვრება გახრწნილი და ბოროტებით სავსე. ის ქადაგებდა: ქვეყნად ადამიანთა ბედნიერებისათვის საჭიროა სამოთხის დაარსება, და სამოთხე მხოლოდ მაშინ დამყარდება, თუ ყველა მაშვრალნი ® ტვირთმძიმენი შეიკრიბებიან, შეერთდებიან, შეიყვარებენ ერთმანეთს და ცხოვრებას გასწმენდენო.“

«ბატონები, დამჩაგვრელები, ხალხის მტრები შეძრწუნდნენ: ჩვენ ბატონობას ბოლო მოეღება, თუ მართლა ყველა ტანჯულ-ჩაგრულნი შეერთდნენ და შეგნებით აღიჭურვენო, — შეიპყრეს მქადაგებელი და მოჰკლეს. მაგრამ მქადაგებელმა დასტოვა მოწაფეები, მას იმედი ჰქონდა, რომ იმის დაწყებულ საქმეს სხვები განაგრძობდნენ და, როცა იქნებოდა, დამყარდებოდა, ქვეყნად სამოთხე.»

„ვის უნდა განეგრძო მქადაგებლის-მიერ დაწყებული საქმე?“

ვის და — ვისაც ამ საქმის გაგრძელება კისრად იდვა, თავის პირდაპირ მოვალეობად გაიხადა. ეს იყო — სამღვდელოება. სამღვდელოება უნდა ყოფილიყო მფარველი და პირველი მოსარჩლე ყველა დაჩაგრულისა და ტანჯულისა, სამღვდელოებას უნდა შეეკრიბა ხალხის დაჩაგრული ნაწილი, ამოდგომოდა მას გვერდში, გადაექცია ის გაერთიანებულ, შეგნებულ რაზმად და დაემყარებინა ქვეყნად ის სამოთხე, რომლისკენაც იწვევდა ხალხს მქადაგებელი.»

ჩვენი სასწაულთ მოქმედი ექიმი იოანნე გომართელი, როგორც ეტყობა, ძლიერ კოჭლობს სახარების ცოდნაში. იესო ქრისტესაგან ნათქვამი სიტყვებიც ვერ მოიყვანა მართლად. იესო ქრისტემ სთქვა; „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და მე განგისვენო თქვენ». „აღიღეთ უღელი ჩემი თქვენზედა, და ისწავეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა“. სად არის აქ სიტყვები: მოდით ჩემთან თქვენ ტანჯულნო და ჩაგრულნო და „მე მოგიფონებო“? განა შეუძლია გომართელს სახარების სიტყვების განმარტება?!. მაგრამ ამპარტავნება არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევს ნებას, რადგან ყოლისფრის მცოდნედ აღიარებს თავს...

არსად არ უთქვამს ქრისტეს, რომ იგი მოვიდა ქვეყნად მხოლოდ მისთვის, რომ ქვეყანაზე დაემყარებინა სამოთხე ვერ დაგვისახელებს ბ. გომართელი ვერც ერთ კაცს ქვეყანაზე, რომ სამოთხე ენახოს და გარდაცვალების დროს კმაყოფილი ყოფილიყოს თავის ცხოვრებით, და ეთქვას, რომ მე ამ ქვეყნად სამოთხეში ვიყავიო. თითონ ბ. გომართელი, რომელსაც დიდი შესავალი აქვს ექიმობით, ს მოთხეს ვერ ნახავს ამ ქვეყანაზე ..

ბ-ნ გომართელს არ სცოდნია თუ ვინ იყვნენ ისინი, რომელთაც ქრისტემ დაავალა სახარებისა და მისი სწავლა-მოძღვრების გავრცელება და გომართელისებურად „სამოთხის დაარსება“? არ სცოდნია, რომ ქრისტეს სწავლა-მოძღვრების გავრცელება სამღვდელოებას კი არ ჩააბარა დიდმა მქადაგებელმა, არამედ მოციქულებს. არ სცოდნია, ისიც რომ ამ მოციქულებმა მტკიცედ აასრულეს მისი ქადაგება და ყველამ სიცოცხლე შესწირა ამ ქადაგებას და წამებით აღსრულდენ გარდა იოანნესა. ბოლოს ყოველივე დევნა მოციქულების შემდეგ სამღვდელოებას შეხვდა. ვერ მოსთვლის კაცი მღვდელ-მოწამეთა და მქადაგებელთ წამებულთ რიცხვს მოციქულების შემდეგ სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში. მაგრამ გომართელს მაინც ნიადაგ ეჩვენება, რომ ეს სამღვდელოება დასკუპებული იყო ხალხის კისერზე და ხალხის უბედური ცხოვრებით ისინი კეთილდღეობდნენ! საკვირველია, რომ დღეს მღვდლები, რომელნიც წელიწადში ოც თუმნამდის იღებენ სარჩოდ, ხალხის კისერზე დასკუპულად მიაჩნიათ და თითონ ბ. გო-ლი და მისი ზოგიერთი კოლლეგები დღეში ხუთ თუმნიდან ასს მანეთამდის იღებენ საცოდავ ავადმყოფებისაგან, რომელთაც ხშირად თავის უცოდინარობით ამ წუთი-სოფელსაც გამოათხოვებენ ხოლმე, მაგრამ თავიანთ თავს ხალხის გულშემატკივრათ და შემბრალედ რაცხვენ! სად არის ლოღიკა ამ კაცებისათვის?..

მოვისმინოთ ქვევით, სასწაულთ მომქმედის იოანნე გომართელის ეპისტოლე:

„როგორ მოიქცა სამღვდელოება ნამდვილად?

„ხალხი თანდათან გროვდებოდა, თანდათან ერთდებოდა; სამღვდელოებას ამით ძალა და გავლენა ემატებოდა და, როდესაც მან საკმაოდ მოიპოვა ძალა, თავის-თავი ბატონად გამოაცხადა და იმ ხალხს, რომელიც მას უნდა გაენთავისუფლებინა მონობის მძიმე ტვირთისაგან, თვითონვე დააჯდა კისერზე. იმ ტანჯულებსა და ჩაგრულებს, რომლისთვისაც მას უნდა მოეპოებინა სიხარული და ბედნიერება, თითონვე დაუწყო ტანჯვა და წვალება; იმ დამჩაგვრელებს, რომელთა წინააღმდეგაც მას უნდოდა წაეყვანა ხალხი, თვითონვე ამოუდგა გვერდში და დაუწყო სასტიკად დევნა ყველა მათ, ვინც ხალხის შეგნებას, ხალხის კეთილ დღეობას ემსახურებოდა. ამით სამღვდელოებამ თვითონვე ჰკრა ხელი იმ სამოთხეს, რომლის დასამყარებლადაც შრომა და მოქმედება მას მქადაგებელმა უანდერძა, თვითონვე დაემონავა ეშმაკს და შეუწყო ხელი ქვეყნად ჯოჯოხეთის განმტკიცებას. სამღვდელოებამ ევროპაში ყველაფერი თავის ხელში ჩაიგდო, ყველაფერზე გაბატონდა; ხალხის განათლება, ხალხის შეგნება, ცხოვრების წინმსვლელობა სრულებით შეაფერხა; ყოველგვარ თავისუფლებას, როგორც აზრისას, ისე მოქმედებისას, ისეთი ბორკილები დაადვა, როგორიც მანამდე სიზმრადაც კი არავის ზმანებოდა; ისე დაიმონავა ყველა, რომ მეფეებიც კი ძრწოდნენ შიშით.“

ხომ დასტკბით, მკითხველო, სასწაულთ-მომქმედის იოანნე გომართელის საუცხოვო აზრებით. ვინ წარმოიდგენს, რომ ამაებს სწერს უნივერსიტეტის კურს დამთავრებული! რომ ხელი არ ქონდეს მოწერილი სტატიას, ვინ არ იფიქრებს, რომ ეს სტატია დაწერილია მესამე კლასის მოწაფისაგან და არა გომართლისაგან! როდესაც ამ სტატიას სწერდა ბ. გო—ლი სახეში ქონდა ალბად საქართველო და ქართველი სამღვდელოება. აბა დაგვისახელოს ბ-ნმა გომართელმა ის დაჩაგვრა და მეფეების დატუქსვა, რომელიც ქართველი სამღვდელოებისაგან ადგა ხალხს და ან ქართველ მეფეებს. ბ. გო—ლი, ვიცით, მიგვითითებს რომის პაპებზე და იქაურ მეფეებზე. ქართველი სამღვდელოება რა შუაშია აქ?..

როდეს იყო ძლიერი ქართველები: წინეთ როცა ხალხი და სამღვდელოება ერთად იყვნენ თუ დღეს, როცა რამდენიმე პირები მაცადინობენ ხალხს შეაძულონ სამღვდელოება? ნუ თუ ბ. გო—ელმა ისიც არ აცის, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ გავრცელდა ქვეყანაზე განათლება. ნუ თუ გომართელმა არ იცის რომ ქრისტიანობას ამერიკის, ინგლისელების და არც ერთი განათლებული სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფოსათვის პროგრესიული წინ მსვლელობა და განათლების გავრცელება არ დაუბრკოლებია? ბა-ნო იოანნე გომართელო! ილაპარაკეთ და სწერეთ ჩვენ საქართველოზე და ჩვენ სამღვდელოებაზე. ევროპის საზოგადოებაზე და სამღვდელოებაზე ნუ სწუხდებით. ევროპის ხალხმა თქვენი არსებობა არ იცის და არც თქვენს აზრს საჭიროებს. თქვენ ჩვენზე სწერეთ, მაგრამ სწერეთ სიმართლე და ყოველი ნათქვამი ფაქტით დაამტკიცეთ, თორემ, რომ მოდგეთ და სწეროთ სამღვდელოება სამრევლოს კისერზე დასკუპულიაო არავინ დაგიჯერებს. ბ. გომართელს ალბათ რაღაცა კარიკატურას რომ დაატარებდენ აგერ წინეთ ის უნახავს და დარწმუნებულა, რომ მღვდლები ხალხის კისერზეა მართლა დამდგარიო, მომდგარა და სწერს ამ კარიკატირის გამო და ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებს როგორც დამთვრალი კაცი. დაახასიათეთ როგორ ემსახურება სამღვდელოება ბიუროკრატიას? რით ჩაგრავს ხალხს? რით უწყობს ხელს ბიუროკრატიას და რით ყავს დამონებული ხალხი? არ არის საკმაო გიჟივით და მთვრალ კაცივით გაიმეოროთ ერთი და იგივე ათასჯერ განუმარტებლად დ აუხსნელად. .

მოვიყვანოთ კიდევ ბ. გ—ელის სიბრძნიდან:

„ყოველგვარ ძალმომრეობას, ყოველგვარ უსამართლობას, ადრე თუ გვიან, მოელება ხოლმე ბოლო. სამღვდელოებამაც დაჰკარგა ნელ-ნელა თავისი ძალა და გავლენა,—ის თანდათან დასუსტდა, მაგრამ ხალხი მაინც არ განთავისუფლებულა,—ტანჯულებს და დაჩაგრულებს სხვა ბატონი დააჯდა კისერზე, სამღვდელოების ნაცვლად. ეს დრო საუკეთესო დრო იყო, რომ სამღვდელოებას თავისი შეცდომა შეეგნო, თავისი დანაშაული თითონვე გაესწორებინა და ისევე ხალხს ამოსდგომოდა გვერდში, მაგრამ ბატონობას შეჩვეულმა სამღვდელოებამ ისევე ახალ ბატონს მიმართა. მან იფიქრა: ბატონი თუ აღარ ვიქნები დღეიდან, ბატონის გვერდით მაინც დავბინავდები და ბატონის წყალობას დავიმსახურებო. სამღვდელოება მტკიცედ დაადგა ამ გზას. მან უარჰყო ხალხი და შეუდგა ბატონის სამსახურს. რადგანაც ბატონისა და ხალხის ინტერესი ძირიანად ეწინააღმდეგება ერთი-მეორეს, სამღვდელოებაც მთელის თავის მოქმედებით ძირიანად ეწინააღმდეგებოდა ტანჯულისა და დაჩაგრულის ხალხის განთავისუფლებასა და კეთილდღეობას."

„ამ გზას ადგია დღესაც სამღვდელოება. ის მონაა ბიუროკრატიისა და მისი მარჯვენა ხელი, ის ასრულებს ბიუროკრატიის ყველა მდაბალ სურვილებს; ბიუროკრატიასთან ერთად ის წინ ეღობება ხალხის გამოფხიზლებას, ხალხის შეგნებას, ხალხის განთავისუფლებასა და კეთილ დღეობას. სამღვდელოების ისტორია გულსაკლავი ისტორიაა. სამღვდელოება ატარებს სახელს უდიდეს მქადაგებლისას, თითქო მისი მიმდევარია, ნამდვილად კი მთელის თავის მოქმედებით სამღვდელოება უარჰყოფს ყველა იმ აზრებს, რომელსაც მქადაგებელი ტანჯულ ხალხის საკეთილდღეოდ ჰქადაგებდა. ხალხი გამოფხიზლდა, თვალები გაახილა, დაინახა ყოველივე ეს, გადაუდგა სამღვდელოებას და ის თავის მტრად გამოაცხადა. სამღვდელოება შეშინდა, ის ხსნას ეძის. სად არის სამღვდელოების ხსნა?"

სრულებით ტყუილს ბრძანებს, ბ. გომართელი, რომ „ხალხი გამოფხიზლდა და უარ-ჰყო სამღვდელოება, ვინაიდგან სამღვდელოებამ უარი-ჰყო სახარების მცნებასაო. დიდი უმრავლესობა ისევე ძველებურად, ჩვენებურად პატივსა სცემს სამღვდელოებას, გულით და სულით სწუხს, რომ ბ. გომართელისთანა მოქადაგეეები საქმეს უჭირვებენ მრევლს და აძულებენ ხალხს სამღვდელოებას. ბევრს ადგილას კიდეც ემუქრებიან მრევლს თუ მღვდელს რამე მიეცითო. ყმაწვილ-კაცობა გატაცებული გომართლის სტატიების მსგავსის ნაწერებით მართლა შეურაცხებასაც აყენებს სამღვდელოებას, მაგრამ დიდი უმრავლესობა სწორეთ არა თანაუგრძნობს გომართელს და მის კომპანიას. ბევრს ადგილას მქადაგებლებს წინდაწინ გამოუცხადეს ხოლმე, რომ სარწმუნოების და სამღვდელოების შესახებ არაფრის თქმა არ გაბედოთო. დიდი შეცდომაც მოუვიდათ ზოგიერთ მქადაგებლებს. სარწმუნოების და ეკკლესიის წინააღმდეგი ქადაგებით მათ დაჰკარგეს ხალხის ნდობა და თავის წადილის აღსრულებას დიდათ ავნეს. იმ მქადაგებლებმა ხომ სულ დაჰკარგეს ხალხის ნდობა, რომელნიც ნათესაობის წინააღმდეგ ქადაგობდნენ. დარწმუნებული ბრძანდებოდეს ბ. გომართელი, რომ რა სასწაულებრივი ექიმობაც უნდა გამოიჩინოს მან ხალხში იმ ნდობას ვერასოდეს ვერ მოიპოვებს რაც უბრალო სოფლის მღვდელს აქვს უკვე დამსახურებული. არ ვიტყვით იმას, რომ სამღვდელოებაში ყველა ერთნაირად მსახურებდეს. ეს

104
ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეა ყოველ წოდებაში და რა გასაკვირველია რომ ზოგიერთი მღვდელი ნაკლულევანი იყოს...

ის ცილის წამება, ის ბრალი, რომელსაც გომართელი ახვევს თავს მთელ სამღვდელოებას გასაშტერებელია. თუ სვინდისის ნატამალი კიდევ შერჩენია კაცს არ გვჯერა, რომ იკადროს ის რასაც გომართელი კადრულობს. განა შეიძლება ასე უსაბუთოდ მთელი წოდების ლანძღვა? გომართელს სრულებით არ ესმის მღვდლის მოვალეობა და ისეთ საქმეს ავალებს, რომელიც არც სახარებას და არც მოციქულებს არ დაუვალებიათ მათთვის.

ბიუროკრატიის მომხრე არასოდეს არ ვყოფილვარ როგორც მე ისე სხვა მრავალი სამღვდელოება. ხალხის დაჩაგვრის წინააღმდეგ მაშინაც კი ვსწერდით და ვქადაგებდით როცა გომართლის მამის ხსენებაც არ ყოფილა ქვეყანაზე. ვსთხოვთ ბ ნ გომართელს განგვიმარტოს რაში მდგომარეობს ჩვენი მონაობა ბიუროკრატიისა და რით ვართ სამღვდელოება მისი მარჯვენა ხელი? როგორ ვასრულებთ ჩვენ ყოველ ბიუროკრატიის მდაბალ სურვილებს? როგორ ვეწინააღმდეგებით ჩვენ ხალხის განთავისუფლებას და მის კეთილდღეობას? ველით დაწვრილებით პასუხს ბ. გომართლისაგან. თუ პასუხი არ გაგვცა მაშინ ვიწვევთ ბ. გომართელს სამედიატორო სამართალში.

შემდეგ განაგრძობს ბ. გომართელი:

„ვიდრე ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, საჭიროა ჯერ ეს ვიკითხოთ: უნდა თუ არა თვით ხალხს სამღვდელოება?“

„ის აზრი, ვითომ ხალხი სამღვდელოებას გასდგომოდეს, ბევრს შემცდარ აზრად მიაჩნია: ხალხს უყვარსო სამღვდელოება, ამგვარ ჭორებს მხოლოდ სხვადასხვა მავნე პირები ავრცელებენ, თორემ გლეხს არ უთქვამს და არც იტყვის: მღვდელი მან შეინახოს, ვისაც სურსო. დაიარეთ ჩვენი სოფლები და დარწმუნდებით, რომ სამღვდელოებამ ხალხის თვალში ნდობა და სიყვარული დაჰკარგა. ამის მიზეზი არც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი მღვდლები ბუნებით ცუდი ადამიანები არიან, არც იმაში, ვითომ ხალხს სარწმუნოებრივი გრძნობა დაეკარგოს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი კულტურული ერი, რომელიც სარწმუნოებრივ გრძნობას მოკლებული იყოს; ჩვენ არ ვიცით არც ერთი ერი დედამიწის ზურგზე, რომელსაც რაიმე წარმოდგენა არა ჰქონდეს საიქიოზე და უზენაეს არსებაზე. მე მრწამს, რომ მომავალში კაცობრიობა და მასთან ერთად ქართველი ერიც მივა იმ შეგნებამდე, რომ ადამიანისათვის ყველაფერი აქ იწყება — დედა-მიწის ზურგზე — და აქვე თავდება, მაგრამ დღეს-დღეობით არც კაცობრიობა, არც ქართველი ერი ამგვარ შეგნებამდე არ მისულა. დღეს ქართველ ერის ერთ ნაწილს სარწმუნოებრივი გრძნობა აქვს და ამიტომ სამღვდელოების არსებობასაც საფუძველი აქვს.“

„აქედან ცხადია, რომ ხალხს უნდა სამღვდელოება, ხოლო მას არ უნდა იმგვარი სამღვდელოება, როგორიც დღეს არსებობს. ხალხს უნდა სამღვდელოება, ქრისტეს მცნების მტკიცედ აღმასრულებელი, — დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამღვდელოება, დაჩაგრულისა და გაჭირვებულის ქომაგი, დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამღვდელოება, სიმართლისა და სამართლიანობისათვის თავგამოდებული, დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამღვდელოება, ყოველგვარ ძალმომრეობისა და ბატონობის მტერი, დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამღვდელოება თავისუფლებისა და თანასწორობის მოყვარული, დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის. ერთი სიტყვით, ხალხს უნდა იმგვარი სამღვდელოება, რომელიც ხალხს უდგეს გვერდში და მხოლოდ ხალხს ემსახურებოდეს, მხოლოდ ხალხის ინტერესებს იცავდეს.»

ბ. გომართელმა იჯერა გული თავისი ჩვეულებრივი სიტყვებით. ჯერეთ სამღვდელოება დააჯდინა ხალხის კისერზე, მერმე სამღვდელოების მაგიერ ბიუროკრატია დაასკუპა ხალხის კისერზე და სამღვდელოება ბიუროკრატიის თანაშემწედ გამოაცხადა. რისთვის? ეს გომართელმა იცის! გომართელს სამღვდელოება არა სწამს და წინასწარმეტყველობს, რომ „შემდეგში ყველა შეიგნებს, რომ ყველაფერი ქვეყანაზე იწყება და აქვე თავდებაო“. გომართელი ამ სიტყვებს ისე მედიდურად წარმოსთქვამს, რომ ვითომც პირველად ის ამბობდეს ამას. ალბად გომართელმა არ იცის, რომ ორი ათას ექვსასი წლის წინათაც, როგორც დავით წინასწარმეტყველი მოწმობს, ამბობდენ ამას: „სთქვა უგნურმა გულსა შინა თვისსა არა არს ღმერთი, განირყვნენ და ბილწ-იქმნენ იგინი“. გომართელს არა სწამს საიქიო და რასაკვირველია, არც მღვდელი. მაგრამ ამას სიტყვით, ფარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევლურად ამბობს, თორემ საქმით სხვას ასრულებს. ერთ დროს გომართელმა სთქვა რომ, ის კაცი კაცად არ ჩაითვლება, რომელიც ცოლს შეირთავსო. როცა მისმა თაყვანისმცემლებმა ამხილეს ცოლის შერთვა განაცხადა: გარემოებამ მომიხდინა ცოლის შერთვაო. არა სწამს ეკკლესია და მღვდელი, როგორც თვითონ სწერს მაგ. ბავშვის დამარხვისათვის ეკკლესიის ეზოში თხოვნებით აწუხებს მღვდელთმთავარს და გუბერნატორს! ყოველ მღვდელმოქმედების შესასრულებლად ნიადაგ მღვდლებს აწუხებს. გომართელს დიდ პატივს მოუპოებდა ხალხში მტკიცედ აღსრულება მისგან იმისა, რასაც სახალხოდ აღიარებს. მაგრამ ალბათ წერით ფარისევლობს. სწერს, სიტყვით ამბობს, და საქმით კი ვერ ბედავს. რა უნდა უწოდოთ ამისთანა კაცს?

საწსაულთმომქმედ ექიმს არ უნდა, რომ აწყენინოს გლეხებს და ამბობს ჩვენს ხალხს სარწმუნოება აქვსო ჲ სამღვდელოებაც ჯერეთ საჭიროაო, მაგრამ ეხლანდელი სამღვდელოება არ უყვარსო, რადგან წითელი ბაირაღით არ მიუძღვის ხალხს და ბიუროკრატიისაგან ვერ გაანთავისუფლა!.. გომართელის აზრით, ვინაიდგან კაცი ცხოველების მსგავსია და სულიერი არა არსებობს-რა მღვდელი ხორციელობას უნდა ემსახუროსო და ხალხი ბიუროკრატიის ბრჭყალებიდან, ყაჩაღებიდან და ქურდებიდან უნდა დაიფაროსო! მღვდლები თურმე ქრისტეს ამისათვის დაუყენებია და ისიც დაუვალებია, რომ გომართელის სოფელში სამოთხე დაეარსებიათ!.. ვინაიდგან ბ. გომართელის შეგნება სარწმუნოების უარ-ყოფაზე ყველას არა აქვს და „ქართველების ერთ ნაწილს სარწმუნოებრივი გრძნობა კიდევ აქვს შერჩენილი ამისათვის სამღვდელოების არსებობასაც საფუძველი აქვს ჯერჯერობითო“, ჲ უმოწყალესად ნებას აძლევს ხალხს იყოლიოს კიდევ (დროებით ალბად) სამღვდელოება. ბოლოს ჩამოთვლის როგორი სამღვდელოება უნდა ხალხსო და ვალად უდგენს დაიფაროს ხალხი ბიუროკრატიისა, ყაჩაღებისა, ქურდებისა და მტაცებელთაგან. გომართელის აზრით მღვდლები სუდიებიც, ექიმებიც, ადმინისტრატორებიც და ყველაფერიც უნდა იყვნენ. მრევლის სულიერ მოთხოვნილებას და საიდუმლოების აღსრულებას სრულებით თავი უნდა დაანებონ... გომართელს მღვდლის მოვალეობად არ მიაჩნია საიდუმლოების აღსრულება, წირვა-ლოცვა და ხალხის ზნეობითად დარიგება. მისი აზრით ყოველი მღვდელი ხალხს გვერდში უნდა ამოუდგეს და ბიუროკრატიის ძირ ჩამოსაგდებად ეხმარებოდეს. ხალხს კი ამისთანა მღვდლები არ უნდა. ხალხი ითხოვს რომ მღვდელი იყოს მოსამსახურე მისი სულიერი მოთხოვნილებისა და სულიერი საჭიროებისათვის, მღვდლები იცავდეს ხალხს ზნეობით დაცემისაგან და სულიერად აღამაღლდებდეს მას და ნიადაგ ზრუნავდეს მისი სულიერი წარმატებისათვის. აი, რა ითხოვება მღვდლისაგან და არა ის, რომ თოფით და ზარბაზნით აღიჭუროს და მხედრობა გაუწიოს გულმკერდზე ხელდაწყობილ თავის სამწყსოს.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

დეკ. დ. დამბაშიძე.

---

## ზოგიერთა მღვდლების საყურადღებოდ.

უსახელო წერილების თხზვა ყოფილა და მუდამაც დარჩება საზიზღარ ხელობად. ამ გვარი ხელობის კაცთან ნაცნობობა ერცხვინება ყოველ პატიოსან ადამიანს, მასთან მეგობრობას გალანძღვად სთვლის ზნეობის მექონი, მისი ხელის ჩამორთმევა კეთროვანის შეხებაა კაცური კაცისათვის.

რა უკეთურებას, ზნეობრივ სიბინძურეს და სულიერ გათახსირებას უნდა წარმოადგენდეს მღვდელი, მოტრფიალე უსახელო წერილების თხზვისა?!. რამდენად დაცემული და წამხდარი უნდა იყოს წოდება, რომელსაც ხორველის ბაცილებივით მოსდებია საზარელი სენი უსახელო ბარათების თითხნისა!! სასირცხოდ, ჩემდამო რწმუნებულ სამღვდელოთა შორის არა ერთი და ორი მოიპოება მიმდევარი ამ სამარცხვინო და კაცის ღირსების შემლახავი ხელობისა. ბევრი, ძალიან ბევრი უსახელო წერილები მომდიოდა, მაგრამ არვაქცევდი მათ ყურადღებას, ვფიქრობდი, როცა იქნება მოიშლიან, შეიგნებენ თავიანთ სისაძაგლეს მეთქი. ბოლოს, როდესაც ახალი ხანა დადგა, როდესაც ხალხი გამოფხიზლდა და თითონ დაიწყო მოსპობა თავის შორის ყოველი სივერაგისა, იმედი მომეცა სამღვდელოებაც გამოფხიზლდება და თითონ ალაგმავს ზნეობა გაყიდულ თანამოძმეებსა მეთქი, მაგრამ მოვსტყუვდი და იმედები გამიცრუვდა: ახლაც ბევრი მომდის უსახელო ბარათები და ვრწმუნდები, რომ განახლების სიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო არ მიჰკარებია ზოგიერთა მღვდლების უსუფთაო გვამს.

საჭიროდ ვცნობ გამოვაქვეყნო შემდეგი უსახელო წერილი იმ მიზნით, რომ იმერეთის სამღვდელოებამ სცნოს, თუ როგორი სამარცხვინო და სათაკილო კბენარი ახვევია მას. აი ეს წერილი:

„ეს წერილი ეპისკოპოზს გადაეცი. თუ არ გადაგიცია გავიგებთ და ვაი შენს დღეს, ცოდშვილს გამოგათხოვთ.

ყ დ სამღვდელო!

როგორ ინებეთ ჩვენი თხოვნა შესახებ სესხისა, შეუჭამიათ განა? შენ სად იყავი რათ ყურადღება არ მიაქციე მაგრამ, რას იზამდი იმდენ ჯამაგირის დახარჯვა განა ადვილი საქმეა? შენ კუჭი ნამეტანი ჭამით გტკივა და ჩვენ კი შიმშილით. რათ არ შედიხარ უჯამაგირო მღვდლების მდგომარეობაში? ერთი სიტყვით ერთი თვის ვადაში გამოასკეთე საქმე. ვისაც ფული შეუჭამია კრებას გადაეცი დამნაშავე პირები. და რაიცა დაგრჩათ შეუჭამელი მიეცით სესხად იმ მღვდლებს, რომელთაც ჯამაგირი არ აქვთ და თანაც შვილები ყავთ კლასში. გარდა ამისა უჯამაგირო მღვდლებს გადასახადი არ გადაახდევინოთ. ამის განკარგულება ერთ თვეში ქენით. ჩვენ სია შეგვადგენიე ვის უნდა შეხვდენოდა ჯამაგირი შენ მაინც შენი ქენ, ვისაც გინდოდა იმას დაუნიშნე, ამისთანა კერძოობა ხშირათ ქენით. თუმც ერთი თვის ვადაში რიგიანი განკარგულება გიქნია თორემ ტრაპეზის წინ წაგაქცევთ, როცა წირვათ იქნები. გადაწყვეტილია.

ამხანაგობა.»

სესხად არ მიეცა სამღვდელოებას ზრაფერი იმის გამო, რომ უსამართლობა იქნებოდა სესხის გაცემა იმ სახით, როგორც ეს დაადგინა მარტში მომხდარმა სამღვდელოების კრებამ. მტკნარი სიცრუეა, ვითომც შეეჭამოს ვისმეს სამღვდელოების ფულები, თუ შეჭმად და გაფლანგვათ არ ჩავთვლით იმას, რომ თითონ სამღვდელოებას არ წარმოუდგენია დღევანდლამდე ხვედრი შემოსატანი; ყველა ეს კითხვები გადაეცემა [გადასაწყვეტად სეკტემბერში დანიშნულ სამღვდელოების კრებას. ჩემი ჯამაგირის სიდიდე გაჰკვირვებია ბეჩავს ანონიმისტს ალბათ იმის გამო, რომ მას არ გაუგონია რას ღებულობენ არამც თუ სხვა ეპისკოპოსები, რიგიან აფთექაში მომუშავე პროვიზორები. რაც შეეხება იმას, თუ ჩემი ჯამაგირის მერამდენე ნაწილს ვახმარებ ჩემ თავს, ამაზე ლაპარაკი უკეთურ ადამიანთან არ ღირს, მაგრამ თუ სურს მაინცდამაინც ამის გაგება, დაეკითხოს ქუთაისის გლახაკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს, ჩემი ხარჯით მოსწავლეებს სხვა-დასხვა სასწავლებლებში და ისინი ეტყვიან სიმართლეს. რა არის კუჭის ტკივილი, ჩემს სიცოცხლეში არ გამიცდია და თუ კუჭის სისაღე მართლა საჭმელის ზომიერ მიღებაზეა, ღვთით იმედი მაქვს, რომ არც არასოდეს არ გამოვცდი. თუ საზოგადოთ იმერეთის სამღვდელოებისა და კერძოთ უჯამაგირო მღვდლების გაჭირვება არა მაქვს განცხადებული სიტყვით და დანაწერით მთავრობის წინაშე, ჰო დამნაშავე ვიქნები, მაგრამ როდესაც ყველაფერი ეს შემისრულებია, არ მესმის რაღა ბრალსა მდებს უჩინმაჩინის ქუდქვეშ მოკუნტული კურდღელი. საინტერესოა გვიბრძანოს ამ შიმშილით კუჭ ნატკენმა მოძღვარმა რა გადასახადებს ვახდევინებ მას და მის თანაშემწეს. არასდროს მღვდლების ჯამაგირების განაწილებაში არ გავრევივარ გარდა ამ წლისა და, როგორც ხონისა და სვერის საბლაღოჩინო ოლქების მღვდლების უკმეხი ლაპარაკიდან ვცანი, ორი სასიკვდინე და შეუნაიებელი ცოდვა ჩამიდენია: ჯამაგირი მირგუნებია ჩხაიძისა და ჯაფარიძე მღვდლისათვის და ნამდვილათ კი ჯამაგირები უნდა მიეღოთ გალდავასა და ლომიძეს, ვინაიდგან უკანასკნელთ ძეთა ჲ ასულთა სიმრავლისა გამო დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვით წინაშე მრევლთა და ქრისტეს სარწმუნოებისა. წერილის ბოლოს გამოთქმული აზრი ბაშიბუზუკურია და ურჩევ ამ გმირთა „ამხანაგობას" არ დაიშალოს გულთნადების განხორციელება, რომ ამითი მაინც გაიგოს მათი ვინაობა სამღვდელოების საღმა ნაწილმა და მიიღოს საჭირო ზომები მათი არსებობის ძირიან-ფესვიანად ამოსაგდებად. აბრაგი და კაცის მკვლელი საზოგადოთ საზარელი არსებაა, მაგრამ აბრაგი და კაცის მკვლელი მღვდელი—ეს რაღაც საოცრება, წარმოუდგენელი მახინჯობაა!

ნუ თუ ეს განახლების ხანა მაინც არ დაიხსნის სამღვდელოებას შხამის მფრქვეველ გველის წიწილებისაგან!?

ეპისკ. ლეონიდი.

## ზემო სვანეთი.

II*)

სვანების სვანეთს გარედ გამოსვლა სამუშევრად. —გადასახლება.—ვაჭრობის გავრცელება.—მევახშეობა და ქურდობა.

როგორც ზევით ვსთქვით, ზემო სვანეთი ირგვლივ შემორტყმულია ღრე-კლდეებით და მთებით, რის გამო სახნავ-სათესი ადგილები ძლიერ ცოტა აქვთ. წინეთ, როდესაც ხალხი ცოტა იყო, ეს თავის ადგილ-მამული ყოფნიდა, ასაზრდოვებდა მას; ამიტომ მაშინ სვანებისთვის თავის ქვეყნის გარედ გასვლა სამუშაოდ არასფერ საჭიროებას არ შეადგენდა მაინცდამაინც. ყველაფერი სახლში მოდიოდათ: სასმელი, საჭმელი და ტანისამოსიც; ცოტა რამე უბრალო საჭიროებისათვის კი, იმისთანა ცუდ გზებზედ, როგორც ზევით ვსთქვით, მოგზაურობას არ გაუდგებოდენ ხოლმე და თავს სახიფათოდ არ გადასდებდნენ. ამიტომაც არის, რომ ბევრს შეხვდებით მოხუცებულ სვანებში იმისთანებს, რომლებიც ზემო სვანეთს არ გასცილებიან, ქვემო, სადადიანო სვანეთიც კი არ უნახავთ. მაგრამ ეხლა კი სხვაფერ წავიდა საქმე. ხალხმა იმატა, იწია იქით-აქეთ და მიხვდა, რომ მიწა აღარ ყოფნის, გამოელია; რაც აქვს ისიც მოყანდა და თუ ყოველ წლივ არ დააპატივა, ისე არასფერს მისცემს და ცარიელ-ტარიელს დასტოვებს. ამისთანა მდგომარეობაში მყოფთ ცხადია, რომ რაღაც სხვა გზა მოეძებნათ თავის სარჩენად და ათასი სხვადასხვა მოთხოვნილებიც დასაკმაყოფილებლად და რადგანაც თავის მხარეში არაფერი მოეხერხებოდათ, ამიტომ იწყეს სვანეთს გარედ სიარული სამუშევრად და მოედვნენ რაჭა-ლეჩხუმს, მეგრელია-აფხაზეთს და გურია-იმერეთს. ასე რომ ეხლანდელ ათ ახალგაზდაში ორსაც ვერ იპოვით იმისთანას, რომ ამ ზემოხსენებულ მხარეებში არ ყოფილიყოს. ესენი შემოდგომაზედ წავლენ ხოლმე და ბრუნდებიან საალდგომოთ, ხვნა-თესვის დროს. ეს სვანეთ გარედ წასვლა ისე გაუჯდათ სვანებს ძვალ-რბილში, რომ უბედურად სთვლის თავს ის ახალგაზდა, რომელიც რაიმე მიზეზით ზამთარში სახლში რჩება. ზოგიერთმა მათგანმა კი, როდესაც გაეცვნენ სხვადასხვა მხარეებს, იწყეს სვანეთიდგან გადასახლება; ზოგი დაესახლა მეგრელიაში და უმეტესი ნაწილი კი გადასახლდა „დალ-ში“ (სოხუმის ოლქი), სადაც სამოსახლოებიც კარგი იყო და სამუშევარსაც ბევრს შოულობდნენ. მაგრამ 1902 წელს მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ აჰყარა ეს ყველაფრით მოწყობილი უბედური ხალხი თავიანთი მიწებიდგან და გამოისტუმრა სვანეთისკენ. მათ ადგილებზედ კი დაასახლეს ვითომ სახელმწიფო ინტერესების დასაცველად შიდა რუსეთიდგან გადმოსახლებულნი რუსები. იმ სვანებს, რომელთაც სვანეთში კიდევ შერჩენოდათ ცოტა რამე გაუყიდელი და ჰყავდათ ახლობელნი მემკვიდრეები ცოცხალნი, იმდენი არ გასჭირვებიათ. მაგრამ უმეტესობა მათგანი დიდი ხანი იყვნენ მოშორებული სამშობლო მხარეს და აქ ყველაფერი დაყიდული ჰქონდათ, რის გამო მეტის-მეტ ცუდ მდგომარეობაში ჩაცვინდნენ ისინი.

უცხო მხარეში ყოფნის დროს სვანები ითვისებენ იქაურ ზნე-ჩვეულებას და ყოფა-ცხოვრებას. ცოტათი მას მერმეთ დაიწყეს უფრო წმიდათ ცხოვრება. თავიანთ სახლებს თითქმის ყველამ მიადგა პატარ-პატარა სასტუმრო ოთახები. ამასთანავე თანდათან ეჩვევიან ვაჭრობას. ეხლა ისეთი საზოგადოება არ არის, რომ თითო-ოროლა საწვრიმალოთა მე-ვაჭრე არ იყოს.

წავლენ ქუთაის-ზუგდიდში იყიდიან იქ სხვა-დასხვა საოჯახო—საჭირო ნივთებს, გადმოაქვსთ სვანეთში და ასაღებენ ფულზედ, ძაგარზედ, ტყავებზედ, შალებზედ და სხვა ოჯახის ნაწარმოებზედ. მაგრამ ყველაზედ უფრო გახშირებული საქონლით ვაჭრობაა. ამ მხრივ სვანეთი შუამდგომლობასაც კი უწევს კავკასიონის ქედის იქითა მდებარე მხარეებს: ყარაჩა, ბახსანა-ჩერქეზეთს, რაჭა-ლეჩხუმ-მეგრელიასთან. მთელი ლეჩხუმის ვაჭრობა (ცაგერში, 14-დან დამლევ ენკენისთვემდე) სავსეა სვანების მიერ ყარაჩა-ბახსანა-ჩერქეზეთიდან გადმორეკილი საქონლებით და კონკურენციასაც ვერავინ უწევს მათ. ამ ნაირი მეცადინეობით ზოგიერთებმა ფულიც იშოვეს და ეხლა ამისთანა პირები ვაჭრობასთან ერთად, მევახშეობასაც მისდევენ და დიდ სარგებლის გამო, ბევრ ფულსაც იგებენ. სარგებელი თუმანზედ თვეში არის 25—50 კაპეიკამდის და ეს დიდი სარგებელი არის მიზეზი იმისი რომ ბევრს ხუთი თავნის ოდენა გადუხდია მევახშისათვის ვალი, მაგრამ მისი კლანჭებიდან მაინც ვერ ხსნილა.

*) იხ. „მწყემსი“ № 15—16, 1905 წ.

106
ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთ მეზობლიდან სვანებმა სხვა და სხვა კარგ თვისებასთან ერთად, არა სასიამოვნო თვისებებიც ბევრი გადმოიღეს, მაგ.—ქურდობა. წინეთ თურმე ის პირი, რომელსაც ვინმე ქურდობაში შეისწრებდა და ქურდს დაუძახებდა, საზოგადოებაში ვერ გამოვიდოდა და მასთან ყოველი კაცი ყოველივე კავშირს სწყვეტდა თურმე. მაგრამ ეხლა სასირცხოდ კიარა სასახელოთ მიაჩნიათ, ხელობათაც გადაიქცა და კიდევაც ისე გაიწაფნენ, რომ ოსტატ მეკრელებსაც კი სჯობნიან ეხლა. ყოველ ზაფხულობით გადმოჰყავთ რაჭა-ლეჩხუმიდგან ცხენები და გადაჰყავთ ყარაჩა-სამეგრელოში; სამეგრელოდგან გადმოჰყავთ და ასაღებენ სვანეთში და ყარაჩაში; ამ უკანასკნელიდან კი ყველაზედ უფრო ბევრი გადმოჰყავთ და ქსაქსავენ სვანეთ-სამეგრელოში. ასე, რომ ამ მხრივაც შუამდგომლობასაც უწევს სვანეთი კავკასიონის ქედის ორივე მხრივ ბდებარე ქვეყნებს.

(შემდეგი იქნება)

სევერ. კეკელიძე.

## მივიღოთ თუ არა ერობის მართველობა?

იმ დროს როცა ჩვენი ვენახები ჭრაქისაგან სრულებით გაფუჭებულნი იყნენ და ნაყოფს აღარ იძლეოდენ, აქა-იქ აღმოსჩნდენ კაცები, რომელნიც ხალხს წამლობას ურჩევდენ. ეს წამლობა იყო ბორდოს სითხე, უბრალო შაბიამნის წყლით მოსხურება. მაგრამ საზოგადოებამ სრულებით არ მიიღო ეს წამლობა და ვენახის ლერწები საოცრად გაროკნილი იყო ფოთლებისაგან და ყურძენი ხმებოდა. გლეხები ამბობდენ: თუ შაბიამანის წყალი მოვასხით ისიც კირნარევი სულ გახმებაო. ბოლოს აგრონომებმა თავის ხარჯით დაიწყეს შაბიამანის წყლით მორწყვა. საჭირო იყო მხოლოდ ნება გლეხებისა. დაითანხმეს ერთ სოფელში ერთი ძმა, მაგრამ მეორე მოსამზღვრე მოძმე წინ აღუდგა ვენახის ექიმებს. როცა მოამზადეს შაბიამანის წყალი და ვერმორელის მანქანებით წავიდენ ვენახისკენ, წინააღმდეგმა ძმამ დაიქირავა ოთხი ხუთი კაცი და კეტებით დააყენა ვენახის სამზღვარზე და გამოუცხადა აგრანომებს: თუ ერთი ცვარი გადმოგისხამთ ჩემი ვენახისკენ ან თქვენ უნდა იყვნეთ და ან ჩვენო. აგრანომებმა მიიღეს ყოველივე ზომები და ერთი ცვარი არ გადმოუშხეფებიათ ამ ახირებული ძმის ვენახისკენ. მეორე ძმის ვენახი მორწყეს. სიხარულით ელის შეუგნებელი ძმა ვენახის გახმობას. დადგა კვირკობისთვე. შეუგნებელი ძმის ვენახი გაირიკნა ფოთლისაგან დ ყურძნის მარცვალიც გახმა; ვენახი მთლად გაფუჭდა. შეგნებული ძმის ვენახში ერთი ფოთელი არ აკლია და ძველებურად ფოთლებით დაფარული ტევნები სასიამოვნო სანახავია. მხოლოდ მაშინ შერცხვა შეუგნებელ ძმას, მაგრამ გვიანღა იყო ექიმობა. სწორეთ ამ შეუგნებელ ვენახის პატრონს მოგაგონებდათ დაბა ყვირილაში საზოგადოების კრებაზე მოქადაგეების რჩევა და მსჯელობა ერობის არ მიღებაზე და ვითომ მის უსარგებლობაზე ჩვენი ხალხისათვის!.. და მარლაც, ვინ გვყავს ჩვენ, რომ ერობის საქმე წაიყვანოს რიგიანად? თუმცა ერობა თავის-თავად კარგია!...

კრებაზე დამსწრე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ოფიციალური ცნობა

(„კავ." №224)

### კავკასიის მცხოვრებთ

ამ ბოლო დროს კავკასიაში, ისევე, როგორც შიდა რუსეთში, შედგა მრავალი წრე, საიდუმლო პარტია და ჯგუფი; ესენი ერთმანეთისაგან მიზნით და მოქმედების საშუალებით განსხვავდებიან, საერთო კი ამათ შორის ის არის, რომ ყველანი სცდილობდნენ და სცდილობენ, არა ლეგალურ ბრძოლით, არსებულ სახელმწიფო წყობილების შეცვლას.

ეს პარტიები და ჯგუფები მოქმედებდნენ მცხოვრებთა სხვა-და-სხვა წრეებში და თავიანთ იდეების იარაღად ხმარობდნენ ისეთ საშუალებას, რომელიც დღეს უფრო შესაფერ ნიადაგს ჰპოულობდა.

მუშათა შორის, მაგალითად, პროპაგანდას ეწეოდნენ და ითხოვდნენ ხელ-ფასის მომატებას და საზოგადოდ, მუშათა ყოფა ცხოვრების გაუმჯობესებას. გლეხობაზე სხვანაირად მოქმედებდნენ: ეუბნებოდნენ, მიწა ცოტა გაქვსო, და ატყუებდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულეებს მიწა ჩამოერთმევათ, კერძო საკუთრება მოისპობაო და სხვა.

პროპაგანდის უმთავრეს იარაღად იმას ხმარობდნენ, რომ აგონებდნენ ხალხს: მართვა-გამგეობის საქმეში თქვენ თითონ უნდა მიიღოთ მონაწილეობა, თორემ ხალხის საჭიროებას სახელმწიფოს სათავეში მდგომნი ვერ გაიგებენ და ხალხის გულის ტკივილი მეფის ტახტამდე ვერ მიაღწევსო.

იაპონიასთან ომმა, რომელმაც ხალხით თუ ფულით დიდი მსხვერპლი მოითხოვა როგორც სახელმწიფოსა, ისე მცხოვრებთაგან, ეჭვი არ არის, გაადვილდა მოქმედება საიდუმლო საზოგადოებისა და აგიტატორებისა.

შედეგი ასეთ ბოროტ აგიტაციისა თვალ-წინ გადაგვეშალა. ამ შედეგის დაფასება ყველას შეუძლიან, როგორც მუშებს, ისე გლეხებს: ჩაჰქრა ცხოვრება ოდესღაც აყვავებულ ბათუმში, რომელიც თავის მრავალ-მილიონიან ვაჭრობით და ქარხნებით საზრდოს აძლევდა რამდენიმე ათას მუშას; ქარხნებში მუშაობა შეჩერდა; ზოგი ქარხანა სრულიად გადააქვთ საზღვარ-გარედ, სადაც გამოჰკვებავენ ადგილობრივ მცხოვრებთ, რომელნიც უცხონი არიან ჩვენ და ჩვენის ინტერესებისათვის; შემცირდა მოქმედება ბაქოს სამრეწველოს და ქარხნებისა; აგიტაციით გატაცებული გლეხობა, მშვიდობიან მუშაობისა და შრომის ნაცვლად, მიეცა მემამულეთა სახლ-კარის აწიოკებას, სხვის მიწების მოხვნას პატრონის დაუკითხავად და, საზოგადოდ, სხვის ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობას.

სხვის გაძარცვით, მემამულეთა აწიოკებით გლეხობა მდიდარი არ გახდა; პირიქით, ამ ძარცვა-გლეჯამ გლეხობას დააკარგვინა ის შემოსავალი, რომელსაც შრომით იღებდა. ამას გარდა მან უნდა გადაიხადოს ძარცვა-გლეჯისაგან წარმომდგარი ზარალი. არ გამდიდრდნენ აგრეთვე მუშები, რომელთაც მუდმივის გაფიცვით, ხელ-ფასის გადიდების ნაცვლად, იმას მიაღწიეს, რომ დასცეს მათი მკვებავი წარმოება. განაცარმღვერებული და უადგილოდ დარჩენილი ხალხი სოფლებსა და ქალაქებს მიაწყდა. შიმშილმა აიძულა ეს ხალხი ძალ-მომრეობას და ძარცვა-გლეჯას მიჰყოს ხელი. ბოლოს სატუსაღოები გაივსო, მრავალმა ოჯახმა თავის გამომკვები მარჯვენა ხელი დაჰკარგა, იმ სისხლით, რომელიც უნდა იღვრებოდეს ბრძოლის ველზე სამშობლოს დასაცველად, ირწყება მინდორ-ველი და საიდუმლო აგიტაციას ეწირება მრავალი ხალხი უდანაშაულო მსხვერპლი.

6 აგვისტოს გამოცემულ უმაღლეს მანიფესტით მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა მთელ იმპერიას. ეს საქმე გამოიხატება სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ კაცების მოწვევით და კანონების გამოცემაში მუდმივ და მხნე მონაწილეობის მიღებით.

ამიერიდან ხალხის ყოველივე საჭიროება პირდაპირ მივა იმის ყურამდე, ვინც ღვთის მიუწდომელ განგებით მოწვეულია რუსეთის სახელმწიფოს მმართველად. ამიერიდან მცხოვრებთა ყოველ წრეს შეძლება მიეცემა სანდო და საიმედო კაცების მეოხებით მიიღოს პირდაპირი მონაწილეობა მართვა გამგეობის საქმეში. ამ საქმისათვის დღეს არის კანონიერი გზა. მცხოვრებნი, თავის მხრივ, მოვალენი არიან გაამართლონ ნდობა, დაუბრუნდნენ მშვიდობიან ცხოვრებას, პატივისცემით მოეპყრან აწ მომქმედ კანონებს და, სახელმწიფო სათათბიროში თავის დროზე ღირსეულ კაცების არჩევით, გაუადვილონ ხელმწიფეს ძნელი საქმე მართვა-გამგეობისა. სათათბიროს დაარსებით და სახელმწიფო საქმეებში ხალხის მონაწილეობით თავის თავად ისპობა არსებობა საიდუმლო საზოგადოებისა, წრეების და ორგანიზაციებისა. თუ ესენი ეტყვიან საზოგადოებას, რომ უმაღლესის მანიფესტით დაპირებული რეფორმა სრული არ არისო, რომ საჭიროა უფრო დიდი და სრული რეფორმაო, ვსთხოვ მცხოვრებთ არ დაივიწყონ, რომ კაცის საქმე არასოდეს სრული არ არის, რომ ყველაფერი თანდათან უმჯობესდება, რომ თვით ხელმწიფე იმპერატორმა საჭიროდ სცნო თანდათანი გაუმჯობესება სახელმწიფო სათათბიროსი და თვით დაიტოვა ზრუნვა ამ საქმისათვის, ამიტომ იგი არ დააყოვნებს და შესაფერ ბრძანებას მოახდენს, როდესაც ცხოვრება, სახელმწიფოს კეთილდღეობა და თანამედროვე გარემოება მოითხოვს ამა თუ იმ ცვლილებას.

ვუცხადებ რა ამას ჩემთვის ძვირფას კავკასიას, ვიწვევ მცხოვრებთ მხნედ და რწმენით შეჰხედონ მომავალს და ჩემთან ერთად ეცადნენ ხალხის დამშვიდებას; განშორდნენ საიდუმლო სარევოლიუციო წრეების მოქმედებას, რადგან ამ წრეებმა დღეს ყოველივე ნიადაგი დაჰკარგეს; ნუ დაივიწყებენ, რომ მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება შეიძლება

107
ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ იქ, სადაც კანონს ასრულებენ, სხვის ცხოვრებას აფასებენ და პატივს სცემენ სხვის უფლებას და საკუთრებას. მრავალ-ტომიან კავკასიის მოღვაწეებს ვთხოვ იმოქმედონ ხალხზე, შთაგონებით და განმარტებით აუხსნან თავიანთ მოძმეებს მნიშვნელობა დიად წყალობისა, რომელიც გვიბოძა ხელმწიფე იმპერატორმა, ურჩიონ მათ ნულარ აჰყვებიან ბოროტ კაცებს და ნუ აუხვევენ მშვიდობიან და კანონიერ ცხოვრების გზას.

წმიდა ვალი ხალხის დამშვიდებისა აძევს ადგილობრივ პრესსას, რომელიც დღეს ესოდენ გაძლიერდა. პრესას უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი იმისი კეთილი სიტყვა ათასჯერ მეტ ნაყოფს გამოიღებს, ვიდრე კეთილი სიტყვა კერძო კაცისა; ასევე მეტი ზარალი მოაქვს ყოველ იმის ბოროტ სიტყვას. დიდია ამიტომ პასუხის მგებლობა ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების ხელმძღვანელთა, როგორც იმათი, ვინც არსებულ არეულობას აძლიერებს, ისე მათი, ვინც ხალხის დამშვიდებაზე თავს განზე იჭერს.

ვიწვევ ჩემდა დასახმარებლად აგრეთვე ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებას. ამ დაწესებულებებში, ეჭვი არ არის, საუკეთესო მოღვაწენი არიან ისინი, ვინც ამომრჩეველთა ნდობით არიან მოსილნი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნდობით ისინი არ ისარგებლებენ არეულობის გასაძლიერებლად, არამედ ეცდებიან ხალხის დამშვიდებას, დაწყნარებას წესიერ და ნაყოფიერ შრომისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. ამ უკანასკნელისათვის-კი საჭირო არ არის დასახელებულ დაწესებულებებში მსჯელობა სახელმწიფოს მოწყობისა და იმის შეცვლის შესახებ, საჭიროა კეთილ-სინდისიერად ასრულება ადგილობრივ მცხოვრებთათვის საყურადღებო საქმისა, რომელიც ამ დაწესებულებებს აბარია.

ამასთან ერთად უნდა განვაცხადო, რომ დღეიდან არსებობა საიდუმლო ორგანიზაციების, წრეების და ჯგუფებისა, განსაკუთრებით იმათი, რომელნიც სცდილობენ აწ არსებულ სახელმწიფოებრივ წყობილების მოსპობას, მოსათმენნი აღარ იქნებიან, და ისინი, ვინც ამ წრეებსა და ორგანიზაციებში მონაწილეობას იღებენ, უსათუოდ კანონიერ პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. მივიღებ აგრეთვე ყოველსავე საშუალებას ყოველგვარ თვითნებურ მოქმედების წინააღმდეგ, სულ ერთია, ვინც უნდა ჩაიდინოს ეს მოქმედება, და კერძო საკუთრების დასაცველად როგორც მემამულეთა, ისე სხვა მცხოვრებთა.

ნამესტნიკი მისის იმპერატორებით უდიდებულესობისა კავკასიაში და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯართა მთავარ სარდალი,

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

*** 1 სექტემბერს, სალამოზე, სოფ. იგუეთში (გორის მაზრა) მოჰკლეს ადგილობრივი მემამულე ლევან და მისი შვილი საშა ზაალიშვილები. მკვლელობა კერძო ინტერესებითაა გამოწვეული. ამას წინად იქვე, ლამის ყანის თავში, მოჰკლეს კაზაკთა ურიადნიკი და იარაღი წაართვეს. მკვლელები ვერ აღმოუჩენიათ (ც. ფ.).

*** კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ ადგილობრივ ენებზე სახალხო კითხვების გამართვის ნების დართვა ტფილისის გუბერნატორს მიანდო.

*** „პეტ. ლისტ.“-ს სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს პირველი კრება მოხდება 1906 წლის 10 იანვარს.

*** ქუთაისის ქალაქის საბჭომ დაადგინა, გაგზავნოს ქალაქის მოურავი მოსკოვში 12 სექტემბერს ქალაქის წარმომადგენელთა კრებაზე მონაწილეობის მისაღებად.

*** ქუთაისში მოვიდა ყუბანის პოლკის სამი ბატალიონი, ნავაგინისა ერთი ბატალიონი და თერგის კაზაკთა ბატარეა.

იქიდანვე, 7 სექტემბერს, სამაზრო კრებაზე ერობის შესახებ საზოგადო პრინციპიალურ საკითხების ოთხი მუხლი დღეს სოფლის წარმომადგენლებმა მიიღეს, ათის ხმით ერთის წინააღმდეგ. შემდეგ სოფლების წარმომადგენლებმა საჭიროდ აღარ სცნეს საკითხის დაწვრილებით შემუშავება დ ხალხთანან ერთად დემონსტრატიულად დარბაზიდან გავიდნენ.

*** **ოფიციალური ცნობა.** («კავ» № 227) რადგანაც ამჟამად მავნე აგიტაციის გავლენით გორისა და დუშეთის მაზრებში უწესოებანი ხდება, დარღვეულ წესების აღსადგენად საჭიროდ ვსცანი, ეს მაზრები ტფილისის გუბერნატორის განკარგულები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გამოვანაწილო და დაუქვემდებარო სამოქალაქო ნაწილის მხრივ მე-77 ტენგინის პოლკის უფროსს პოლკოვნიკს ალფტანს და მასვე ჩავაბარო ხსენ-მაზრებში დაბანაკებულ ჯარების უფროსობაც. პოლკოვნიკს ალფტანს მინიჭებული აქვს საგანგებო უფლებანი და სამოქალაქო ნაწილის მხრივ დასახმარებლად ვნიშნავ ჩემთან მყოფ საგანგებო მინდობილებათა მოხელეს კოლეჟსკი სოვეტნიკს თავადს გრუზინსკის.

ნამესტნიკი გენერალ-ადიუტანტი

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

*** როგორც თანდათან ირკვევა, სასინოდო კანტორის ხაზინადარს არდაზიანს 1885 წლიდან დაწყებული ყალბის წიგნებითა და ქაღალდებით შეცდომაში შეჰყავდა თურმე სასულიერო მთავრობა, ვითომ ფულს ბანკში ინახავდა. ნამდვილად კი ფული შინ ჰქონია ღ უხმარია თავის სასარგებლოდ. სახელმწიფო ბანკის გამგეობამ აცნობა კანტორას, რომ ბანკმა 1884 წლიდან არდაზიანთან ყოველივე ანგარიში გაასწორა და ერთი კაპეიკიც აღარ მიუღია შესანახადაო. ყალბი წიგნებით ბანკში შენახული ყოფილა 90,000 მანეთამდე. 6 სექტემბრამდე წიგნების გამორკვევა-გაჩხრეკით აღმოჩნდა, რომ არდაზიანს 162,000 მან. გაუფლანგავს. კანტორაში აღმოჩნდა ქაღალდები. ვითომ ბანკში ინახებოდეს 45,000 მან. კანტორამ გუშინ წინ, 6 სექტემბერს, დაიბარა ბანკის ერთი მოხელე. აღმოჩნდა, რომ ეს ქაღალდიც ყალბი ყოფილა. სულ არდაზიანს გაუფლანგავს 207,000 მან. რევიზია ყოველ თვეში იყო, მაგრამ არდაზიანი ისე ახერხებდა, რომ ეჭვი არავის შეჰპარვია.

*** ბაქოში ახალი ჯარი ჩასულა. ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, ჩასულა 2 ქვეითა პოლკი, ერთი ყაზახთა პოლკი და არტილერია, სულ 10 ათასი კაცი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოგებამ ძალიან იკლო. შარშან პირველ ექვს თვეს რკინის გზის წმინდა მოგება იყო თითქმის რვა მილიონი მანეთი, წელს-კი ოთხ მილიონ ნახევარი ძლივს გამოვიდა.

*** ექსარხოსის კანცელარიის მმართველი ტროლინი, გაზეთების სიტყვით, გადაჰყავთ ნიჟნი-ნოვგოროდის ეპარქიაში სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.

*** ახალციხის მაზრის ადიგენის სოფლის საზოგადოებას აღმოუჩენია თავის შორის არა კეთილსაიმედო პირები, გადაუცია ადმინისტრაციისათვის და უთხოვნია მათი უცხო ქვეყნებში გადასახლება.

როგორც გავიგეთ, თელავის მაზრის სოფელ რუისპირში პოლიციას მოუკლავს ყაჩაღი ბესო გოგელიანი, რომელსაც, ადმინისტრაციის აზრით, სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებოდა და აქნამდის ემალებოდა პოლიციას.

*** ახირებული „პრეტენზიაც“ ასეთი უნდა! ცნობილ ვოსტორგოვს ქაღალდი გამოუგზავნია კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისთვის და მოუწერია, ამ საზოგადოების სკოლების ინსპექტორის თანამდებობას ვასრულებდი და რამდენიმე წლის ჯამაგირი მომეცითო. წელიწადში ეს მოძღვარი 600 მანეთს თხოულობს თურმე. საზოგადოების საბჭოს განუხილავს ეს ქაღალდი და უარი შეუთვლია, რადგან ვოსტორგოვი მხოლოდ ქაღალდზე ითვლებოდა ინსპექტორად, საქმით კი არასოდეს არაფერი არ გაუკეთებია.

*** ოფიციალური ცნობა. („კავ.“ № 228). შეტაკება მოხდა 29 აგვისტოს, 9—11 საათზე. ადგილობრივ მოკლულ იქმნა 23 კაცი, გზაში საავადმყოფომდე გარდაიცვალა 3, საავადმყოფოში გარდაიცვალა (29 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე)— 10 კაცი. ამრიგად სულ მოკლულ იქნა და ჭრილობისაგან გარდაიცვალა 36 კაცი. ამათგან ვერ გამოარკვიეს 2 კაცის ვინაობა. ორ სექტემბრამდე მოკლულთა ყველა გვამი დაასაფლავეს. უმრავლესობა თვით პოლიციამ დაასაფლავა, მხოლოდ მცირე ნაწილი გადასცეს დედ-მამას და ნათესავებს, მოკლულებიდან 17 კაცი ქართველია.

მოკლულთა გვარები:

ისინი, რომელნიც ნათესავებს გადასცეს: ევგენი კოირანსკი, ალექსანდრა ზებუტოვიჩი, ალექსი თაქთაქიშვილი, ივანე გელაძე, მიხეილ ლიპარტინი, სარქის ისაევი, ბარბარე ვართანოვი, ანტონ ტყეშელაშვილი, თამარ შახნაზაროვი, ევა ფისკოვი, როზა კუბლანოვი, სიმონ დურგლიანცი, ანტონ სოლოგრჟევსკი, სანდრო ბიბილაშვილი.

პოლიციამ დაასაფლავა სახელმწიფო სასაფლაოზე ნავთლუღში: ისაია კოკიაშვილი, ვასო ჩიკვაიძე, ნიკოლოზ ჭელიძე, არშაკ ავეტისიანცი, კონსტანტინე გვაზავა, ჩახნელიძე (სახელი ვერ გაიგეს),

ეროვნული ბიბლიოთეკა

არისტაკ ერზიკიანცი, ივანე მირზოევი, ალექსანდრე ყორღანოვი, უცნობი, რომელიც მოკლული მიიტანეს საავადმყოფოში, პავლე თორმალიძე, ხარიტონ დარახველიძე, დარჩო ზურიაშვილი, ნიკოლოზ ვასილიევი, ოჰანეზ აკოფოვი, პეტრე კონცევიჩი, ერვანდ ბაიანდუროვი და სოლომონ ენუქიძე, ისააკ ლობჟანიძე, უცნობი და პანტელეიმონ თალაკვაძე.

*** ქუთაისში ახლად ჩამოყვანილი ჯარი დროებით დაბინავდა ქალაქის სალორიის აგარაკში, რიონსა და ტყიბულის რკინის გზის შტოებს შუა. სულ ხუთი ბატალიონი ქვეითი ჯარია ჩამოყვანილი და 1 თერგის ყაზახთა ბატარეია. რადგან კურინის პოლკის სადგომში ჯარის კაცთა შორის სახადია გავრცელებული და ახლად ჩამოყვანილი ჯარი იქ ვერ დადგება, ამიტომ გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, მისცეს ჯარს დასაბანაკებელი ადგილი,

*** „სინ ოტეჩ.“-ს გაუგია, რომ კობეკოს კომისიაში, რომელიც ბეჭდვითი საქმის რეფორმების პროექტს ადგენს, 15 ენკენისთვეს განაგრძობს სხდომებს. კომისია განიხილავს ჯერ ბეჭდვითი ჩადენილ დანაშაულის წინააღმდეგ სასჯელთა დებულების შედგენას, მერე—არა-რუსთა პრესის საკითხს, რომელიც მეტად ძნელი გადასაწყვეტია. ამ საგნის შესახებ კომისიის წევრები ორ ბანაკად გაიყვნენ. კომისია შემუშავებულ პროექტს სახელმწიფო სათათბიროს გადასცემს. პროექტს აზრად აქვს გააუქმოს საცენზურო უწყება და სასამართლოს მიანიჭოს დამნაშავე რედაქტორები და ავტორები სამართალში მისცეს (ს. ო.).

*** «სასულიერო უწყების» სარედაქციო კომისიამ—მღვ. ი. ჯაშმა და მასწავლებლებმა ი. ფერაძემ და ს. მურახოვსკიმ ამ გაზეთის რედაქციის საქმეები უკვე ჩაიბარეს. (ივ.)

*** 31 აგვისტოს, ფინანსთა მინისტრმა მიიღო წარმომადგენელნი ნავთის მრეწველთა 18 ფირმისა, რომელთაც მთელი ამოღებულ ნავთის 80% ეკუთვნით. წარმომადგენლებმა მინისტრს გადასცეს მოხსენება, სადაც აღნიშნული იყო ის ზომები და საშუალებანი, რომელნიც მათი აზრით საჭიროა ბაქოში ნავთის მრეწველობის აღსადგენად. მრეწველების აზრით, აუცილებლად საჭიროა; 1) მუშათა საცხოვრებელ უბნების გაშენება; 2) უნდა აკრძალულ იქმნას ქარხნებთან ისეთ შენობების აშენება, რომელთაც ნავთის მრეწველობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ; 3) პოლიციის რეორგანიზაცია; 4) უწესოების გაჩენის დამნაშავეთა აღმოჩენა და მათი დასჯა; 5) პოლიციის გაუმჯობესება და ნავთის ქარხნების ჯარით დაცვა; 6) ქალაქიდან მოუსვენარ ხალხის გაძევება; 7) მთავრობამ დაზიანებულ კერძო პირებსა და ფირმებს უნდა მისცეს უსარგებლოდ და უვადოდ იმდენი სესხი, რამდენსაც ზარალი უდრის და 8) სამთო მუშებისთვის საცხოვრებელ ადგილების მიცემა. მინისტრმა ზემოხსენებული მოთხოვნილებანი განიხილა და დაჰპირდა: მთავრობა ყოველნაირად დაგეხმარებათ, ოღონდ ნავთის მრეწველობა აღადგინეთო (რ. ს.).

*** კარგა ხანია რაც წმინდა სანთელი იმერეთის ეპარქიის ქარხნისა აღარვარგა. ნუ თუ კიდევ არ გამოლეულა ყალბი ცვილი ძველი კომიტეტისაგან შეზავებული? რატომ არ ბეჭდავს საქვეყნოდ სანთლის ქარხნის ანგარიშს ძველი კომიტეტი? ნუ თუ ყველაფერი შეცდომა უნდა მიეტევოს ძველ კომიტეტს სამღვდელოების საზარალოდ?

*** სამღვდელოების კრებამ ენერგიულად უნდა მოითხოვოს, რომ ჯამაგირის ფულები ბლაღოჩინების დამოუკიდებლად თვითონ მიიღონ ხაზინიდან სასწავლებლის ფულების გამოუკლებლად. სასწავლებლის ფულები უნდა იკრიბებოდეს ბლაღოჩინებისაგან ძველებურად. ეს საშუალება მოსპობს ბლაღოჩინების მხრით სკოლის ფულების წარმოუდგენელობას თავის დროზე და სხვა მათ სისუსტეს. ამავე კრებაზედვე უნდა გადაწყდეს, რომ ჟურნალები კრებისა მტკიცდებოდეს ადგილობითი მღვდელთ-მთავრისაგან. უკანასკნელმა, ფლამიანეს დროს, მოხდენილმა განკარგულებამ, მთლად აურ-დაურია სამღვდელოებას კრების საქმეები.

*** ქუთაისის ქალაქის გამგეობას, ინჟენერ ჯორჯაძის ალაგას, რომელმაც ქალაქის სამსახურს თავი გაანება, განუზრახავს მოიწვიოს საგუბერნიო გამგეობის ხუროთ-მოძღვრად ნამყოფი ხარაზოვი. ხარაზოვი ხომ დათხოვნილს იყო ერთი ადგილიდან და რა ხელს მისცემს უპრავას მისი მოწვევა?

*** იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის განკარგულებით ოც სექტემბრისათვის დანიშნულია იმერეთის სამღვდელოების საგანგებო კრება.

*** 9 სექტემბერს საღამოს სად. კოპიტნარში თავს დაეცნენ მეარტელეს და წაართვეს 9,000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასჭრეს ტელეგრაფის მოხელე და ერთი საეროზო დარაჯი ხოლო მეორე დარაჯი მოჰკლეს.

*** საზღვარ-გარეთულ გაზეთებს აცნობებენ ვარშავიდან, რომ იქაურ საშუალო სკოლებში სწავლა თუმცა დაწყებულა, მაგრამ ჯერ მეტად მძიმედ და უხალისოდ მიდის თურმე. გიმნაზიებში მარტო მოხელეთა შვილები დადიან. პოლონელი ბავშვები ჯერ სამშობლო ენის სწავლების შესახებ აღძრულ შუამდგომლობის პასუხს მოელიან თურმე და ამიტომ ჯერ-ჯერობით არ დაიარებიან სასწავლებელში. ვარშავის მთავარ-ეპისკოპოსს მიუმართავს მოწოდებით მკვიდრთათვის სწავლის განახლების შესახებ, მაგრამ პოლონურ გაზეთებს უარ-უყვიათ ამ მოწოდების მოთავსება თავიანთ გაზეთებში (ს. ო.).

*** ზღვაში მცურავი ლიტერატურა. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში, როგორც „ნაშა ჟიზნ“-ი გვაცნობებს, პეტერბურგისა და ლონდონის რეისით მიმავალ გემს შეუმჩნევია „მარსკოი“ არხში რამდენიმე საპალნე, რომელიც წყალში ტივტივებდა. ამოუღიათ და შიგ არა ლეგალური წიგნები უნახავთ (რ. ს.).

*** „სლოვო“ იტყობინება, ვითომც ადმინისტრატიულს წრეებში ამბობენ, რომ მალე მოხდება უმაღლეს მოხელეთა ბჭობა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებით აღდგენილ და დაცულ უნდა იქნას წესიერება კავკასიაში.

*** დღევანდელ ახალ ამბებში წაიკითხავს მკითხველი რომ სინოდალნი კანტორაში ორას შვიდი ათასი მანეთის ფულების გაფლანგვა აღმოუჩენიათ. ვერც ვოსტორგოვმა და ვერც სხვა კანტორის წევრებმა, რომელნიც ასე გაამრავლეს უკანასკნელ დროს, ვერ შენიშნეს ამდენი ფულების გაფლანგვა, თუმცა ყოველ თვეში იყო შემოწმებაო. განა ამისთანა შემოწმებას, შემოწმებას უწოდებენ? ეს შემოწმება კი არა, არაფერი არაა. შემოწმების დროს ფულებს სთვლიდენ? ალბათ არა... ღირს ამისთანა დაწესებულების დატოვება? ღირს, რომ სამღვდელოებამ ამისთანა დაწესებულებისათვის კიდევ ფული იხადოს? ბატონი კერსკი ყველა ეპარქიების ხაზინის შენახვას ითხოვდა ამ კანტორაში!.. რათ არ ხსნიან კონსისტორიებს ყოველ ეპარქიებში? სამღვდელოებამ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება და სანამ ქათალიკოსებს დანიშნავდენ კონსისტორიები მაინც დააარსონ...

---

## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

---

### ვნება უფლისა ჩვენისა

## იესო ქრისტესი.*)

---

შვილება (შვილთა-ყვანა) იოანესი ღვთისმშობლისაგან.

უკვე შუადღე იყო და წმიდა ქალაქის ახლოს, მაღლობ ადგილზე, მზეს თავისი მხურვალე სხივებით უნდა გაენათებია საშინელი სანახაობა. მაგრამ ამის მაგიერ, შუადღის მზე «იმ დიდსა და საშინელს დღეს» უკუნად იქცა. ეს იყო არა ბუნებრივი მზისდაბნელება, ვინაიდან პასექის ჟამს იყო სავსე მთვარე, არამედ ერთი იმ სასწაულთაგანი, რომელთაც ასე დაჟინებით ითხოვდენ ფარისევლები იესო ქრისტესაგან იმის ქვეყნად მსახურების დროს. ამ არაჩვეულებრივ შუადღის მზის დაბნელებას უნდა ჩაეჩუმებია უგუნურნი და—მოეცვა იგინი შიშსა და ძრწოლას; ხოლო იმათ კი, ვინც სიყვარულით შესცქეროდენ დიდებულ ტანჯულს, შეეძლოთ ესარგებლათ ამ დაბნელებით და შეუმჩნევლად მისულიყვენ ჯვართან. უმეტესად ყსენი იყვენ ის კეთილმორწმუნე დედანი, რომელნიც მსახურებდენ იესოს გალილიაში. მაგრამ ამ შიშით მოცულ დედებს შორის ყველაზე თვალსაჩინოდ მოსჩანდენ ყოვლად-წმიდა ღვთის მშობელი, მარიამ მაგდალინელი, მარიამ ცოლი კლეოპასი და სალომე ცოლი ზებედესი. ზოგიერთნი მათგანი სულ უფრო-და-უფრო მიიწევდენ ჯვარისაკენ და აი, ბოლოს მაცხოვრის თვალები შეჩერდენ დედა-მიწაზე, რომელიც უზომო მწუხარებისაგან განგმირული გულით იდგა ჯვართან. მაცხოვრისათვის დედის ეს დანახვა, რომელთანაც ნაზარეთის უბრალო ქოხში განუშორებლათ გაატარა მთელი 30 წელიწადზე მეტი, იყო კიდევ ახალი

---

*) იხ. „მწყემსი“ № 13—14, 1905 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანჯვა. შვილობრივი მხურვალე მზრუნველობით ფიქრობს ის იმ მომავალზე, რომელიც დედა-მისს მოელის დანარჩენ იმის ქვეყნიურ ცხოვრების განმავლობაში. სად უნდა გაატაროს ამან ეს დრო და ვის ჩააბაროს თავისი საყვარელი დედა? ფიქრობს მაცხოვარი. და აი, ამ დროს მისი თვალები შეჩერდება ჭაბუკზე, რომელიც თავჩაქინდრული დგას ჯვართან. აი, სწორედ ამას, საყვარელ მოწაფე იოანეს, გადასწყვიტა იესომ, ჩააბაროს თავის დედას. „დედა-კაცო“ ეუბნება დედას მოკლედ, მაგრამ შვილობრივი ღრმა სიყვარულით, „აჰა ძე შენი“; მერე, მიხედა რა იოანეს, უთხრა: «აჰა დედა შენი». და ამიერიდგან, როგორც სახარება მოგვითხრობს, მოწაფემან ამან წაიყვანა ის თავის-თან (იოან. 19, 26—27). წმიდა მახარებლები არას მოგვითხრობენ იყო თუ არა ღვთისმშობელი მაცხოვრის ჯვარიდან გადმოსვენების დროს იქ. აქედან კი, შეიძლება, დავსკვნათ, რომ ის ან თვითონ წავიდა გოლგოთიდან მაცხოვის სიკვდილამდი—მალე იმის შემდეგ რაც მოხდა მისგან იოანეს შვილება—ან თვითონ მაცხოვარმა ანიშნა მოწაფეს წაეყვანა აქედან დედამისი, რომლის გულსაც, შეიძლება, ვერ გადაეტანა მისი სიკვდილის წინ ტანჯვები.

### სიკვდილი იესო ქრისტესი.

> ნუ მტირ მე, დედაო, მხილველი საფლავსა შინა ძისა, რომელი მუცლად მიიღე, თვინიერ თესლისა, რამეთუ აღვსდგე დ ვიდიდო მე ღვთაებრ, და მაღალ-ვიყვნე დიდებით, სარწმუნოდ და სურვილით, დაუცხრომელად შენნი მგალობელნი.
>
> (ძირსარსის მაგ. დიდ შაბათს).

იესო ქრისტეს უკანასკნელ სამი საათის სიცოცხლეზე, რომელიც იმან გაატარა ჯვარზე, სახარებაში არაფერია მოთხრობილი. რას გრძნობდა ამ დროს ის ჩვენისა და ჩვენის ცხოვრებისათვის—ეს ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, ვინაიდამ ამ დროს განმავლობაში მაცხოვარი ჩვენი, გარემოცული უკუნით, ეკიდა ჯვარზე ხმა-ამოუღებლათ. ამ დროს მიწურულში კი მაცხოვრის ტანჯვამ მიაღწია უმაღლეს წერტილს და მაშინ იმან, ყველასაგან მიტოვებულმა, წარმოსთქვა მოწოდება, რომლის სრულს მნიშვნელობას და აზრს ვერასოდეს ვერ მიწვდება ადამიანი: „ილი, ილი! ლიმა საბაქთანი“? ესე იგი, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რისათვის დამიტევე მე? (მათე 27, 46). პასუხი არსაიდან იყო... მაგრამ აი დადგა ტანჯვის უკანასკნელი წამი. იესომ რომელიც თითქმის ექვსი საათი ეკიდა ჯვარზე, იგრძნო საშინლად მტანჯველი წყურვილი და სთქვა: „მწყურის“ მაშინვე ვიღაცამ, —არ ვიცით მტერმა თუ მეგობარმა—დაასველა ღრუბელი ძმრიან სასმელში და მიუტანა მას პირთან. მიიღო რა წყურვილის ეს მცირეოდენათ მომკვლელი სასმელი, უფალმა კვლავ სთქვა „მამაო! ხელთა შენთა შევავედრებ სულსა ჩემსა“. ამის შემდეგ მოიკრიბა უკანასკნელი ღონე და წარმოსთქვა უკანასკნელი სიტყვა: «აღსრულებულ არს» და დაჰკიდა თავი. ასე გათავდა—სიცოცხლე, რომლის მსგავსი დედა-მიწაზე არც ყოფილა და არც იქნება არასოდეს. აი სწორედ ამ დროს ტაძრის კრეტსაბმელი განიპო შუაზე ზევიდგან ქვეითამდე, ქვეყანა შეიძრა, კლდენი გასქდენ, ლოდნი რომელიც ეფარენ საფლავებს, გადაგორდენ ადგილიდან, საფლავები გაირღვენ და მრავალნი გვამნი მიცვალებულთა წმიდათანი აღსდგნენ, გამოვიდენ საფლავიდან—შევიდენ წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადენ მრავალთა. ამ საშინელმა და საკვირველმა ამბებმა შეაკრთეს რომაელთა მხედრობის სასტიკი და დაუდევარი გულგრილობაც კი. ხოლო ასისთავზე, რომელიც მათ განაგებდა, ყველა ამ სასწაულმა იქონია კიდევ მეტი და ღრმა შთაბეჭდილება; ამიტომ იმან ადიდა ღმერთი და სთქვა: «ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო» (ლუკ. 23, 47), არა, ამაზე მეტიცა სთქვა: „ჭეშმარიტად ძე ღმრთისა იყო ესე“ (მათე. 27, 54).

---

### ჯვრიდან გადმოსვენება და დასაფლავება მაცხოვრისა

> შვენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოჰხსნა უხრწნელნი ხორცნი შენნი, ქრისტე, და არმენაკითა წმიდითა წარგრაგნა, სურნელებითა შემურვილი, ახალსა საფლავსა დაგდვა.
>
> მენელ-საცხებელთა დედათა საფლავსა ზედა ანგელოზი უღაღადებდა: ნელ-საცხებელი მოკვდავთათვის სახმარ-არს, ხოლო ქრისტე ხრწნილებისაგან უცხო იქმნა.
>
> (ტროპარი ვნების კვირიაკისა).

ის იყო მზე იწურებოდა და ახლოვდებოდა შაბათი; ხოლო შაბათი ესე იყო დღე დიდი—დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო უქმისა და დღესასწაულისა, რადგან ეს იყო ერთად შაბათიცა და პასექიცა. და აი ისინი, ვინც არ თვლიდა შემწიკვლელად—მაცხოვრის სიკვდილით დღესასწაულის დაწყებას, ახლა საშინლად აწუხდენ იმას, რომ მეორე დღის სიწმიდე, რომელიც დღე იწყებოდა მზის ჩასვლიდან, არ წაბილწულიყო ჯვარზე მილურსმულ გვამებით. ამიტომ ურიათა სთხოვეს პილატეს ნებართვა გაეტეხათ დასჯილთათვის წვივები და მერე ჩამოეხსნათ სხეული მათი ჯვარიდან. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა. მხედრებმა, რომელნიც ამ მიზანით მოვიდენ გოლგოთაზე, ჯერ გაუტეხეს წვივები იესო ქრისტესთან ჯვარცმულ ორს ავაზაკს. მერე მიუახლოვდენ მაცხოვარს, მაგრამ ნახეს რომ ეს უკვე მომკვდარიყო და ამიტომ წვივი აღარ გაუტეხეს; ერთმა მხედარმა, რომ სრულიად დარწმუნებულიყო ამ სიკვდილში, უგმირა მას გვერდში ლახვარი და «მეყსეულად, მოგვითხრობს წმ. მახარებელი იოანე, გადმოვიდა სისხლი და წყალი».

ის-იყო გაათავეს მხედრება მაცხოვრის სხეულისათვის ასეთი თავისს ულმობელობის ნიშნის მიყენება, რომ იესო ქრისტეს გვამის ჯვარიდან ჩამოსახსნელად მოვიდა გოლგოთის მთაზე იოსებ არიმათიელი. ეს იყო მდიდარი, მაღალსულოვანი და უძრახველი ცხოვრების კაცი, ქრისტეს მიმდევარი და სინედრიონის თვალსაჩინო პირი. ამასთან ერთად და ამავე მიზნით მოვიდა აქ ნიკოდიმოსიც, ის ნიკოდიმოსი, რომელიც, ოდესღაც მივიდა იესოსთან ღამით და უსმენდა მას მისა მაღალ სწავლას წარმოშობაზე (ხელმეორედ შობაზე). მსგავსად იოსებისა, ნიკოდიმოსიც მდიდარი და გამოჩენილი კაცი იყო, ესეც იოსებივით საიდუმლო მიმდევარი იყო იესო ქრისტესი და ამიტომ ამასაც სურდა გამოეჩინა თავისი ერთგულება და სიყვარული ზეციერ მოძღვრისადმი. ამგვარად სხეული ქრისტესი ჩამოიღეს ჯვარიდან; შეჰგრაგნეს ტილოებით, აცხეს სურნელება და ჩამავალ მზის უკანასკნელ სხივებთან ღმობიერებით გადაიტანეს განმარტოებულს, ამისათვის გამორჩეულ საფლავში. გაათავეს თუ არა მაცხოვრის დასაფლავება, მზეც ამოეფარა იერუსალიმის სერებს და დადგა დიდი შაბათი.

დასი (მცველნი)

ღრმა მწუხარებაში გაატარეს მაცხოვრის მოწაფეებმა და მეგობრებმა დიდი დღე შაბათი. მტრები მისი კი სულ სხვაგვარ მდგომარეობაში იყვნენ: მძიმე წინაგრძნობა დამნაშავე სინდისისა ასე გაშინჯეთ, იესოს ჯვარზე სიკვდილის შემდეგაც კი არ აძლევდა მათ მოსვენებას. იმათ მოაგონდათ ხალხში გავრცელებული წინასწარმეტყველება იმის აღდგომაზედ—იონა წინასწარმეტყველის სამი დღის შემდეგ სასწაულებრივ გადარჩენა, რომელიც, მაცხოვრისავე სიტყვით, მოასწავებდა სამი დღით მის მკვდრეთით აღდგომას,—მოაგონდათ მისი სიტყვებიც ტაძრის დარღვევასე, რომელსაც ის ააგებდა სამი დღის განმავლობაში. ყველა ეს შიში, რომელიც თითქო ცეცხლის ასოებით იყო მათ გულში ჩანაქსოვი, მოსვენებას არ აძლევდა მათ. ამიტომ ღრმა მღელვარებით ეშურებიან პილატესთან და უცხადებენ მას თავისს შიშს, რომ მოწაფეებს შეუძლიათ მოიპარონ გვამი იესოსიო, და სთხოვენ სამი დღის გასვლამდინ მიუყენონ საფლავს მცველები. მოკლედ და ამაყად იყო პილატესაგან ნაბრძანები ექმნათ, რაც სურდათ. „მაშინ მღვდელმთავარნი და ფარისეველნი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი დაბეჭდეს ლოდსა მას დასისათანა“ (დაბეჭდეს ლოდი და მიუყენეს მცველნი) (მათ. 27, 66).

დასასრული.

მღ. ბ. კაპანაძე.

---

შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება**: ექიმი იოანნე გომართლის სტატიის გამო, „რა გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება?, დეკ. დ. ღამბაშიძის.—ზოგიერთ მღვდლების საყურადღებოდ, ეპისკ ლეონიდისა —ზემო სვანეთი, სევ კეკელიძისა. —მივიღოთ თუ არა ერობის მართველობა?, კრებაზე დამსწრესი. —ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე**: ვნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მღ. ბ კაპანაძისა.

---

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе

*Дозволено цензурою* Архимандритъ Георгій 15 сентября *1905 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“(П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъвъ собст. домѣ.